

მეცნიერი, აღმზრდელი, დიდებული პიროვნება

ცნობილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ოპტიკისა და ფოტონიკის საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი რაფიელ ჩიქოვანი 85 წლის შესრულდა.



მაღალი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პერსპექტივის აღლო, ყურადღებიანი და უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანებისადმი – ამ პირადმა თვისებებმა საყოველთაო პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვა რაფიელ ჩიქოვანს.

რაფიელ ჩიქოვანი დაიბადა 1930 წლის 29 ნოემბერს დაბა ცაგერში მოსამსახურის ოჯახში. 1937 წელს შევიდა ცაგერის საშუალო სკოლაში, ხოლო 1948 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლა. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1963 – 1965 წლებში იგი მოსკოვშია, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში. 1965 წელს, თბილისში ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით, ის გამოიძახეს და დანიშნეს დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. რაფიელ ჩიქოვანის უშუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა ნახევარგამტარული ოპტოელექტრონიკის მიმართულება. 1973 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი “მიონი” ქარხნითურთ და რაფიელ ჩიქოვანი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ. 1977 – 1984 წლებში კი იგი იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის “მიონი” და მისი ქარხნის დირექტორი.

ამ პერიოდში “მიონმა” მნიშვნელოვან სამეცნიერო და საწარმოო წარმატებებს მიაღწია: გაიზარდა საწარმოს ტექნიკური დონე; შეიქმნა ქარხნის ფილიალები თელავსა და წალკაში; დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა ახალი მიკროელექტრონული ხელსაწყოები; შესრულდა სამუშაოების სრული ციკლი ოპტოელექტრონიკის მასალების კვლევიდან დაწყებული და ხელსაწყოების შექმნითა და მათი წარმოებაში დანერგვით დამთავრებული; დაიწყო მიკროელექტრონული და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების სერიული გამოშვება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, აგრეთვე, მათი

ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში; აშენდა საცხოვრებელი სახლები “მიონის” თანამშრომლებისათვის, ახალგაზრდული ბანაკი, პროფილაქტორიუმი, ბაკურიანის დასასვენებელი ბაზა და სხვ. “მიონი” საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და დიდმნიშვნელოვან ორგანიზაციად გადაიქცა.

რაფიელ ჩიქოვანმა 1970 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1998 წელს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად. 1973 წელს საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მას მინიჭებული აქვს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება. 1992 წელს ის აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1996 წელს – ამ აკადემიის ნამდვილ წევრად.

1980 წელს ოპტოელექტრონული ხელსაწყოების დამუშავებისა და შექმნისათვის თანამშრომელთა ჯგუფს რაფიელ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

სხვადასხვა წლებში იგი იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სექციებთან არსებული ჰეტეროსტრუქტურებისა და ნახევარგამტარული ლუმინოფორების საბჭოების წევრი.



რაფიელ ჩიქოვანის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს ნახევარგამტარების ფიზიკა, განსაკუთრებით ნახევარგამტარული ოპტოელექტრონიკა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრის მეცნიერებთან. იგი თავისი დაუცხრომელი საქმიანობით ახალ-ახალ თაოსნობათა ორგანიზატორია, რომელთა განხორციელებისთვის ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით იღწვის. მას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 5 სახელმძღვანელო, მიღებული აქვს 12 საავტორო მოწმობა და 19 პატენტი. საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი მისი პუბლიკაციები საქართველოში მიკროელექტრონიკის განვითარების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ჩვენი ქვეყნისათვის სხვადასხვა მტკივნეული საკითხის მიმართ.

გარდა უშუალოდ მეცნიერული საქმიანობისა, მრავალია სხვა ისეთი საქმეც, რომლის განხორციელებაშიც რაფიელ ჩიქოვანს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნახევარგამტარების ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის შექმნა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრების ორგანიზება; სტუ-ის ფიზიკის დარგის სადისერტაციო საბჭოში ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობის ჩამოყალიბება და საბჭოს შემდგომი ფუნქციონირება; სტუ-ში მიკროელექტრონიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის შექმნა და ხელმძღვანელობა; საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების შექმნა; ოპტიკისა და ფოტონიკის საერთაშორისო საზოგადოების (SPIE) საქართველოს ეროვნული კომიტეტის შექმნა და ხელმძღვანელობა; მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების აღორძინება და რამდენიმე, მათ შორის საერთაშორისო, კონფერენციისა და სემინარის ორგანიზება (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “მეცნიერება და რელიგია” ჩატარება, იუნესკოს მიერ გამოცხადებული ფიზიკის წლისადმი (2005) მიძღვნილი კონფერენციის ორგანიზება, იუნესკოს გადაწყვეტილებით დაწესებული მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომების ჩატარება ყოველწლიურად, უნიკალური წიგნის “ბაგრატიონების სამეცნიერო და კულტურული მოღვაწეობა” მომზადება და გამოცემა, მრავალი კრებულის გამოცემა ქართველი მეცნიერების მოღვაწეობისა და სახელის უკვდავსაყოფად, ტექნიკური მეცნიერებების მთავალი პრიორიტეტების განსაზღვრა და სხვ.).



2004 წელს რაფიელ ჩიქოვანი დაინიშნა საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების (კემბრიჯი, ინგლისი) გენერალური დირექტორის მოადგილედ საქართველოში. მისი სახელი შეტანილია ისეთ ბიოგრაფიულ გამოცემებში, როგორცაა: “21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი ინტელექტუალი” (2005, კემბრიჯი), “საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეები” (2005, კემბრიჯი). “საქართველო: დრო, ადამიანები” (2004, თბილისი).

რაფიელ ჩიქოვანი უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზატორი და აღიარებული პედაგოგია. 1989 – 2004 წლებში იგი იყო საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, სტუ-ის ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის ხელმძღვანელი, ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-ტექნიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტის დეკანი. საერთო ჯამში რაფიელ ჩიქოვანს აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის 49 წლის სტაჟი. იგი სხვადასხვა დროს თსუ-სა და სტუ-ში კითხულობდა და ამჟამადაც კითხულობს ლექციების კურსს ფიზიკისა და ტექნიკის სხვადასხვა სპეციალობაში.

რაფიელ ჩიქოვანისათვის გასაკუთრებულად მნიშვნელოვანია მისი მშობლიური მხარე – ლეჩხუმი. ეს დიდი სიყვარული სათანადოდ დაუფასა მისმა მშობლიურმა ხალხმა – 2014 წელს იქნა არჩეული ლეჩხუმის საპატიო მოქალაქედ.



სამაგალითოა რაფიელ ჩიქოვანის დამოკიდებულება თანამშრომლებთან და სტუდენტებთან. იგი არის პრინციპული, მომთხოვნი, სამართლიანი, გულისხმიერი, არაჩვეულებრივად კეთილმოსურნე და მზრუნველი, სპეტაკი პიროვნება.



საამაყო, რომ იგი მზრუნველობას და სიყვარულს არ აკლებს თავის ოჯახს – შესანიშნავ მეუღლეს ეკა მაჩაბელს, სამ სამაგალითო შვილს და რვა შვილიშვილს.

ვუსურვებთ ბატონ რაფიელს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა ჩვეული ენერგიით, ხალისით, დაუშრეტელი შრომისუნარიანობით და ღრმა ინტელექტით ემსახუროს თავის ქვეყანასა და ხალხს.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი
საქართველოს საინჟინრო აკადემია
ჟურნალის "საქართველოს საინჟინრო სიახლენი" რედაქცია
მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება
სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
სტუ-ის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი*

2015 წლის 11 ნოემბერი